

გეოდინამიკური პროცესების როლი რელიეფის გარდაქმნაში (დასავლეთ საქართველოს მაგალითზე გურია)

აბსტრაქტი

გურიის ფართობი 2030,7 კმ² -ია. მოსახლეობა 113221 კაცი (2014). რეგიონი მოიცავს სამ ძირითად ქალაქს, ოზურგეთს, ლანჩხუთს და ჩოხატაურს.

ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სამეგრელო-ზემო სვანეთი სამხრეთით აჭარა და აღმოსავლეთით იმერეთი. რეგიონს 22 კმ-იანი სანაპირო ზოლი აქვს. მასში შემოდის კოლხეთის ეროვნული პარკი.

მხარე მდიდარია ჰიდროგრაფიული ქსელით. მთავარი მდინარეებია სუფსა, ნატანები, გუბაზოული. აქვე არის რამდენიმე ტბა: იმნათის, ჯანანის, გრიგოლეთის. მდინარეების საერთო სიგრძეა 598კმ.

გურია ბუნებრივი პირობების მიხედვით ორ ნაწილად, ბარისა და მთის ნაწილად იყოფა. რეგიონში სტიქიურ პროცესებს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, რის გამოც 1977 წლიდან დღემდე სტიქიური პროცესები აქტიურია 178 უბანში. რისკის მიხედვით იყოფა მაღალი, საშუალო, დაბალი და არასაშიში სტიქიური პროცესები. მაღალი რისკის ქვეშ არის 56, საშუალო-59, დაბალი-64 და არასაშიში 13 პუნქტი.